

სტუდენტებში ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარების
შეფასება და მათ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები (ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების
სამაგისტრო პროგრამის მაგალითი)

ანა გვრიტიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი
განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება
უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გვრიტიშვილი

30/01/2021

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, წარმოაჩინოს სტუდენტებში ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარების მნიშვნელობა, გაზომოს აღნიშნული უნარები და შეისწავლოს ამ უნარების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები.

ნაშრომში გააანალიზებულია უცხოელი სპეციალისტების ნაშრომები სტუდენტთა ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარებზე მოქმედი ფაქტორების შესასწავლად. ამასთან, აღნიშნულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შემუშავებულია სტუდენტებში ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარების გასაზომი სკალა.

საკვლევი საკითხის უკეთ შესწავლისათვის ჩატარებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუები ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში კი ჩატარდა გამოკითხვა ამავე პროგრამის სტუდენტებთან.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა და განხორციელებულმა კვლევებმა დაადასტურა სტუდენტებში ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარების მნიშვნელობა. ასევე, გამოვლინდა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარების დონე საშუალოზე მაღალია. როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული უნარების განვითარებაზე მოქმედი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, სტუდენტებისათვის თვითრეფლექსიისა და სწავლების/შეფასების მეთოდების არჩევის შესაძლებლობა, სწავლა/სწავლების პროცესში ჯგუფური დავალებების შესრულება.

საკვანძო სიტყვები: ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარები, სწავლების/შეფასების მეთოდები, სწავლა/სწავლების პროცესი, თვითრეფლექსია, ჯგუფური დავალება

Abstract

The aim of this paper is to demonstrate the importance of developing autonomy and responsibility in students, to measure these skills and to study the factors influencing the development of these skills.

The paper analyzes the work of foreign specialists to study the factors affecting students' autonomy and responsibility. In addition, based on the mentioned scientific literature, the scale, for measuring students' autonomy and responsibility skills, has been developed.

Qualitative and quantitative research has been conducted to better study the research topic. As part of the qualitative research, focus group interviews were conducted with students, alumni, and the academic staff of the Master program of Education Administration, at Ilia State University. As part of the quantitative research, a survey was conducted with students of the same program.

The analysis of scientific literature and the conducted researches have confirmed the importance of developing autonomy and responsibility in students. It was also revealed, that the level of autonomy and responsibility of the students of the Master program of Education Administration at Ilia State University is above the average. Based on both qualitative and quantitative researches, the three most important factors influencing the development of these skills, were revealed and these are students self-reflection, students involvement in choosing teaching/assessment methods and the group assignments in the teaching/learning process.

Keywords: Autonomy and responsibility, teaching/assessment methods, teaching/learning process, self-reflection, group assignment

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ თამარ ბრეგვაძეს.

მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ ყველა რესპოდენტს, ინტერესის გამოხატვისა და დათმობილი დროისათვის.

მადლობა ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნისა და მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებით, ასოცირებულ-პროფესორს ქალბატონ რუსუდან სეთურიძეს, რომლის დახმარებითაც შევძელი კვლევის შედეგების შესაბამისად დამუშავება.